№ 18 იანვრის 24, ხუთშაბათი. 1866—1885 იანვრის 24, ხუთშაბათი. № 18

# დროება

„დროების“ რედაქცია—სასახლის ქუჩაზე, დ. სარაჯიშვილის სახლში.
ხელის-მოწერა მიიღება თბილისში, რედაქციაშივე; ქუთაისში, ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში. გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Тифлисъ, ред. «Дроэба»
ფასი: წლით 9 მ., 11 თვით 8 მ. 50 კ.; 10 თვით—8 მ.; 9 თვით—7 მ 50 კ.; 8 თვით—7 მ.; 7 თვით—6 მ. 6 თვით—5 მ.; 5 თვით—4 მ. 50 კ.; 4 თვით—4 მ; 3 თვ.—3 მ.; 2 თვ.—2 მ.; 1 თ.—1 მ.
ცალკე ნომერი «დროებისა» ღირს 5 კაპეიკ.

გამოდის ყოველ-დღე ორშაბათს გარდა.

ფასი განცხადებისა: მეოთხე გვერდზე სტრიქონზე 8 კაპ.; პირველზე 16 კაპ. სრული [illegible] დი 25 მანათი; პირველი 50 მან. [illegible] ბისა ითვლება მათგან დაჭერილის ადგილის— ფართობზედ.
თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს დაუბეჭდველ წერილებს რედაქცია ვერ დაუბრუნებს ავტორს.
„Объявленія изъ Россіи, Царства Польскаго и за границы принимаются только въ цент., конторѣ объявл. Л. Метцль., Москва, Петровка, № 6

მიიღება ხელის-მოწერა გაზეთს
„დროებაზედ“
1885 წლისათვის
თბილისში —„დროების“ რედაქციაში; ქუთაისში — ძმ. ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში; ბათუმში — მოსე ნათაძესთან; თელავში — ვანო როსტომაშვილთან; გორში — ალალო თუთაევთან.
სოფლის მასწავლებელთათვის წლით შვიდი მანათი, ნახევარ წლით ოთხი მანათი. დაწვრილებით პირობები გაზეთის სათაურშია.

თ-დი ალექსანდრე მსტატეს-ძე ორბელიანი გულითადის მწუხარებით აუწყებს ნათესავთა და მცნობთა თავის დედის **კნეინა მაკრინე იოანეს ასულის** გარდაცვალებასა. პანაშვიდი იქნება იანვრის 24 და 25 საღამოს 7-ს საათზედ, ხოლო განსვენება იანვრის 26-ს დილის 10-ს საათზედ საკუთარის სახლიდგან ქაშოეთის ეკლესიაში. (2—1)

თბილისი, იანვრის 24-ს.

ამ დღეებში დაბეჭდილს ერთ-ერთს ჩვენს მოწინავე წერილში მივაქციეთ მკითხველების ყურადღება მამულის სიკლტავეზედ, რომელიც ზოგიერთა ალაგას სრულიად ხელს უშლის ჩვენს ხალხს და იმ მდგომარეობაში აყენებს, რომ ლამის ბოგანოდ, უმიწაწყლოდ გადააქციოს. ჩვენ ვურჩევდით ესრედ ეკონომიურად შევიწროებულთ მოენახათ უფრო ფართო ასპარეზი თავიანთ მოღვაწეობისათვის და გადასახლებულიყვნენ ჩვენის ქვეყნის იმ განაპირა ნაწილებში, სადაც მიწა უხვია და მცხოვრებთა რიცხვი კი ნაკლები. მაგრამ განაპირა ქვეყნებს გარდა, შიგ შუაგულ საქართველოშიაც მოინახება იმისთანა ადგილები, სადაც დედა-მიწა თავისუფლად ერთი ათად და ოცად მეტს დაიტევს თავის აწინდელს მცხოვრებლებზე.

ერთი ამისთანა ალაგი არის ყარაია. ყარაია თბილისიდამ სულ ოცდა-ჩვიდმეტს ვერსზედ მდებარეობს და მასთან რკინის გზით არის შეერთებული. მიწა იქ ყოვლად ნაყოფიერია და რადგან ადგილ-მდებარეობა მეტად მხურვალეა, პლანზედ გაყვანილი არხებით ირწყვის. ამ არხების გაყვანაზედ და მიწის განაყოფიერებაზედ დიდძალი ფულია დახარჯული მართლ-მადიდებლობის აღმადგენელ საზოგადოებისაგან და ეს ფული ამ ჟამად ვალად ადევს ამ მიწებს იმ პირობით, რომ აქ დამასახლებელთ ნაწილ-ნაწილ გადაიხადონ.

ერთის სიტყვით ეკონომიურის მხრივ ყარაის მცხოვრებთ ყოველისფერი მარჯვედა აქვთ; სარწყავი და ნაყოფიერი მიწაც, ახლო ბაზარიც თავიანთ ნაწარმოებთათვის, რკინის გზაც, რომლის წყალობით საათ ნახევარში თბილისში შეუძლიანთ ჩამოსვლა. მაგრამ ამ სიკეთესთან ერთად, ცუდი მხარეც არ უნდა დავმალოთ: ყარაის ჰავა ცხელი და მავნებელია. იქაურმა ციებამ არ შეიძლება არ დასცადოს ახლად მისულნი, ასე რომ ვერას გზით ვერ ვურჩევთ ქართლ-კახელებს ჯერჯერობით, ვიდრე ეს ჰავა ხალხის დასახლების შემდეგ არ გაუმჯობესდება, ყარაია თავიანთ სამკვიდროდ აირჩიონ. მაგრამ ყარაია თითქმის ალთქმის ქვეყანას შეადგენს მეგრელებისათვის. ამ ხალხს ციებისა არამც თუ არ ეშინიანთ, თითონ ციებას ეშინიან მათი და მრავალი მაგალითები გვაქვს თვალ-წინ, რომ სოხუმის მაზრაში მეგრელები კეთილ-დღეობაში არიან იქ, სადაც სხვა უცხო ხალხი რამდენიმე წელიწადიც ვერა სძლებს.

სხვა მხრივაც დიდი მნიშვნელობა ექმნება მეგრელების გადმოსახლებას ყარაიაში. თბილისი, დღეს თუ ხვალე, უეჭველად მწარმოებელ ცენტრად უნდა გადაიქცეს. თუ მის გარეშემო ფაბრიკები არ გაიმართა, სადაც უხვი ნაწარმოები ჩვენის ქვეყნისა მასალად იხმარებოდეს, ჩვენს დედა-ქალაქს ნახევარი ის მნიშვნელობაც აღარ ექმნება, რომელიც მას ამ ცოტას ხანში ჰქონდა, და რადგან ფაბრიკებზედ გაგებული მუშაა საჭირო, უნდა ვეცადოთ რომ თბილისს ახლო-მახლო ვიყოლიოთ ამ საქმისათვის გამოსადეგი ხალხი; და რომ მეგრელებს ძვირად თუ ვინმე შეედრება სიფხიზლესა, გაგებულებასა და საქმის ერთგულებაში, ეს ვგონებთ საეჭვო არავისთვის არ უნდა იყოს.

მართლაც, მეგრელებს ცხლა ყველგანა ნახავთ, სადაც კი სისტემატიური შრომაა საჭირო; ცეცხლის გემებზედაც, რკინის გზებზედაც, ნავთსაყუდლებშიაც. ვისაც კი უვლია შავის ზღვით, უეჭველია, შეამჩნევდა, თუ როგორი ამხანაგობები აქვთ დამართული მათ კერჩში, სებასტოპოლში, ოდესაში და სხვა ქალაქებში და თუ როგორ ამჯობინებენ მათ ნავთსაყუდლების უფროსები ყველა სხვა ამხანაგობათა.

ამას გარდა, ვგონებთ, მეგრელებისათვის უფრო უპრიანი იქნა ის ადგილი, რომელიც მართლ-მადიდებლობის აღმადგინებელ საზოგადოებას ებოძა, როგორც ერთი წყაროთაგანი მართლ-მადიდებლობის გავრცელებისათვის კავკასიაში.

## შინაური ქრონიკა

— კავკასიაში მართლ-მადიდებლობის აღმადგენელს საზოგადოებას განუზრახავს იმ მიწებზე, რომელიც მას ყარაიაში ეკუთვნის, გადაასახლოს გლეხკაცობა ჩვენის ქვეყნის სხვა-და-სხვა კუთხეებიდამ და მათვე ვალად დაადოს ამ მამულების გაუმჯობესობისათვის დახარჯული ფული.

— დღეს მივიღეთ ბ-ნი პარლამ ზაზიჩავის „ქართული წერის დედნის“ მეორე ნაწილი. დედნის პირველი გვერდის პირველს სტრიქონში მოყვანილი არის ასოთ გადაბმის ნიმუშები, შემდეგ იწყება მრგვალი გადაბმული ხელი. ეს მეორე ნაწილი „წერის დედნისა“ გაცილებით სჯობია, ასოთ მოხაზულობითა და მთლათ ამავე დედნის პირველს ნაწილს. ეტყობა, ბ-ნ ზაზიჩავძეს მიუღია ყველა ის საფუძვლიანი შენიშვნები, რო-

«დროების» ფელეტონი, იანვ. 24-ს

### მიხედ-მოხედვა

ჩვენის ცხოვრების მოვლინებებზედ.

მომავალს ისტორიკოსს თამამად შეუძლიან უწოდოს ეხლანდელს ეპოქას რუსეთის იმპერიისას გლეხთა მდგომარეობის გასაუმჯობესებელ ღონისძიებათა მოპოვების ეპოქა. მართლაც, მთელი რიგი მმართებლობის განკარგულებათა მიპყრობილია განსაკუთრებით იმაზედ, რომ გლეხთა წოდების ყოფა-ცხოვრება წინ წასწიოს, უფრო კაცთ-მოყვარეულ პირობებში ჩააყენოს, ეკონომიურად დაჩაგრულობისაგან განათავისუფლოს და ფეხზე წამოაყენოს. «საგლეხო ბანკთა» დაწესება და სახელმწიფო მიწების იჯარით გაცემა მხოლოდ გლეხებზე—უპირატესნი ღონისძიებანი არიან მოხარკე წოდების საკეთილ-დღეოდ მომართულ სხვათა ღონისძიებათა შორის.

მმართებლობის ყველა ამ კეთილ-განზრახვით მოხდენილ განკარგულებათაგან ჩვენამდი, ესე იგი, იმ ქვეყნამდი, რომელიც აღმოსავლეთისკენ ყოველს ჟამის დროს მტერთან შეტაკებასა და ბრძოლაში პირველია, როგორც რიგით ისე სიმხნით, მოაღწია მხოლოდ იმ განკარგულებამ, რომ სახელმწიფო მიწები იჯარით მარტო გლეხებზე გაიცეს. და, როდესაც დღე-დღეზე სიტყვის საქმედ გადაქცევას მოველით, როდესაც ჩვენი ქვეყნის კიდით-კიდემდე ატაცებული სიამოვნების ღიმილი მოეფინა შრომის შვილთა —გლეხთა სახეებს, — სწორედ ამ დროს...

ორს ფაქტს მოვიყვანთ, ანუ უკეთ ვსთქვათ, გავახსენებთ მკითხველს „დროების“ 6 და 7 №№ დგან...

„ოჯჯანეზა—იწერებოდა პატივცემული მეთვალყურე ჩვენი გაზეთის 6 №-ში, დაუახლოვდა უფრო მსუქან გლეხებს, სხვა-და-სხვა „ნათლიმამობის“ წყალობით და გახსნა ერთი პატარა სავაჭრო დუქანი. ამავე დროსვე გადაუგდო ორს მომიჯნავე გლეხებს: ერთი სამოცდე საჟენი ეზო მიწა დამიგირავეთო: „მინდა ერთი სხვანაირი ყვავილები გავაშენოვო“; იქამდინ შეუჩნდა მათ, რომ სიგანით პირველს შვიდი, და მეორეს სამ ნახევარი—ხოლო სიგძით ორმოც საჟენამდინ სამოსახლო ეზოს მიწა ხუთ-ხუთ თუმნად დაიგირავა. პირობა ისეთი იყო, რომ, როცა გლეხი თავის ხუთ თუმანს მისცემდა, ნახსენებ მოვაჭრე ო—ას ადგილი უნდა დაეტოვებინა მეპატრონე გლეხისათვის. გლეხთა და ოჯჯანეზას შორის პირობის წერილი იყო მოხსენებული თვითოეულ ქაღალდში, რომელიც ოჯჯანეზას ჰქონდა შენახული,—„როცა ჩემ ფულს, ხუთ-ხუთ თუმანს ჩამაბარებთ, მაშინ პირობის ქაღალდსაც მოგცემთ და მიწასაცო“—უთხრა გლეხებს ოჯჯანეზამ. გლეხებიც დათანხმდნენ, მაგრამ არ გასულა ერთი წელიწადი დაგირავების შემდეგ, რომ ოჯჯანეზამ, ყვავილების მაგიერ, შენობის წამოჭიმვა დაიწყო!! გლეხებმა რამდენჯერმე დაუნგრიეს დაწყებული შენობა, მაგრამ ოჯჯანეზამ სოფლის მოხელეების დახმარებით, სახლი მაინცააშენა გლეხების კუთვნილ სახაზინო-სამზოგადო მიწაზედ!.. ეს კიდევ არაფერი. წარმოიდგინეთ გლეხების განცვიფრება მაშინ, როდესაც,—როგორც პირველის, ისე მეორე გლეხისაგან მიცემულ გირავნობის პირობის ქაღალდში ნახეს დაწერილი შემდეგი: „თუ რამე შენობა გააკეთო შენ, ნახსენებს მოვაჭრე ოჯჯანეზამ ჩემს ადგილში, მე, გლეხი მკაწავიშვილი ვალდებული ვარ, როგორც ორი კაცი დააფასებს, შენი შენობა იმ ფასად შევისყიდო, ჩემი მიწის გამოყიდვის დრო-

მელიც წარმოსთქვა კრიტიკამ მისს დედნის პირველის ნაწილის, შესადა სინიდისიერად უშრომნია ჩვენს თვალ-წინ მდებარე გამოცემისათვის. დედანი შესდგება ექვსის გვერდისაგან და შემკულია ლითოგრაფიაში გაკეთებულის ფრიად ლამაზი ყდით. ფასი თითო ეგზემპლიარისა არის ორი მაური, რომელიც არ ჩაითვლება მაინც-და-მაინც ძვირად, თუ მხედველობაში მივიღებთ ძვირფასს ქაღალდს, რომელზედაც დაბეჭდილია დედანი, ლითოგრაფიის ნაწარმოების სიძვირეს ჩვენში და იმ გარემოებასაც, რომ დედანი იბეჭდება მხოლოდ ათასი ეგზემპლიარი.

== ამ ბოლო დროის უფულობამ ბევრს ვაჭარს დააკეტინა ქალაქში დუქნები და ეხლა ეს ვაჭრები, სხვა, რომ არა გამოუვათ-რა ხელიდამ, სულ „აბლაკატები" გახდენ. იგინი უდგებიან ადვოკატებად უფრო მომეტებულად სოფლიდამ ჩამოსულს გლეხებს და ქალაქის ხელოსნებს, რომელთაც რამე საქმე გაუჩნდებათ სასამართლოში. იცით რაში მდგომარეობს მათი ადვოკატობა? იმაში, რომ წაჰყვებიან თავიანთ „საკრეჭ თხებს" და უჩვენებენ, რომელი კარებიდამ უნდა შევიდენ რომელსამე სასამართლოში. მერე „აბლაკატი" მივა სასამართლოს ერთ-ერთ თავის ნაცნობ მწერალთან და ერთის ამბით და ხელების შლით დაუწყებს ლაპარაკს, თანაც ხანდისხან „საკრეჭ თხას" მიხედავს ხოლმე, თითქოს ეუბნება: მიყურე, რა თამამად ველაპარაკებით. შემდეგ გლეხს გარედ გაიყვანს და ეტყვის, რომ ის ჩინოვნიკი გააკეთებს შენს საქმეს, მაგრამ წინად ამდენს და ამდენს ფულსა თხოულობსო. რასაკვირველია, იმდენს ეტყვის, რამდენის მიცემაც შეუძლიან. საწყალი გლეხიც იღებს და აძლევს. აბლოკატიც ამ ფულს ჯიბეში იდებს და მერე გლეხს თვალითაც აღარ დაენახვება. რომელი სასამართლოს წინაც უნდა გაიაროთ, ამისთანა ადვოკატებს ბევრსა ნახავთ: ისინი ელიან თავიანთ მსხვერპლს დილიდამ მოკიდებული ვიდრე სასამართლოები დაიკეტებიან...

== ჩვენი გლეხის სიმდიდრეს, სხვათა შორის, საქონელი შეადგენს. თუ გლეხს საქონელი არა ჰყავს, იგი უთოფო მეომარსა ჰგავს: მას არც ხვნა შეუძლიან, არც თესვა, და რომ საქონელი იყოლიოს, ამისათვის სოფელს უსათუოდ საძოვარი ადგილები უნდა ჰქონდეს. მაგრამ ყველა სოფელს აქვს საძოვარი ადგილები თუ არა? საუბედუროდ არა. არა ერთი სოფელია, რომ საძოვარი ადგილების უქონლობის გამო, არ იცის, სად გარეკოს საქონელი. მაგალითად დუშეთის მაზრის სოფ. ბიწმენდიდამ გვატყობინებენ, რომ ეს სოფელი ამ მხრივ საშინლად შეწუხებულია. თუმცა ზურგს უკან ამ სოფელს სახემწიფო ტყე აკრავს, მაგრამ იქ საქონლის შერეკვა სასტიკად აკრძალულია; აქეთ-იქით კიდევ საბატონო მამულებია და არ უშვებენ.

== იანვრის ჩვიდმეტს მლეთის სტანციის ქრთ-ქრთის დუქანში შემდეგი უბედური შემთხვევა მომხდარა: დუქნის ოთახში მელადუქნეებს შეუტანიათ დასაგდებული დინამიტი და გახურებულის რკინის ფეჩზე დაუდვიათ გასაშრობად. რაღა თქმა უნდა, რომ დინამიტს მალე უფეთქნია და მოუკლავს ერთი კაცი, ერთიც სასიკვდილოდ და რვა მსუბუქად დაუჭრია. ოთახიც კი ძლიერ დაუზიანებია. („თერ. უწყებ.")

## „დროების" კორესპონდენცია

**სიღნაღი**, იანვრის 20-ს. ვის არ გაუგონია ჩივილი ჩვენი სასოფლო სკოლების არა სანატრელ მდგომარეობაზე. ბევრი მიზეზები დასახელებულა, რომელნიც ხელს უშლიან გლეხ-კაცობის განათლების ტაძრის კეთილს მსვლელობას. უპირველესი მიზეზნი, ამ სკოლების კეთილ-მსვლელობის დამაბრკოლებელნი არიან ყოვლად უვარგისნი ახლანდელი შენობები სასოფლო სკოლებისა. ამ გარემოებას ბ. განათლების მინისტრმა მიაქცია ყურადღება და გამოსცა გეგმა (планъ) ერთ კლასიანი პირველ-დაწყებითი სასოფლო სკოლების შენობისა. ეს გეგმა ყველა სახალხო სკოლების დირექტორებს დაურიგდა, რომ სადაც კი უვარგისი შენობებია, ჯერ-ჯერობით მათ ნაცვლად მალე გადააკეთებინონ ახალის გეგმით სკოლა, შემდეგ კი ყველა სკოლის შენობები გეგმის მიხედვით ერთ გვარად უნდა აშენდეს. თანახმად ამისა დღეს ბბ. დირექტორები სთხოვენ ხოლმე მაზრის უფროსებს, რომ მათდამი რწმუნებულს მაზრებში აშენებინონ სოფლებს ახალი სკოლის შენობები, რისთვისაც ყოველს საზოგადოებას მიეცემა ხაზინიდამ ერთხნობით 500 მანათი.

ჩვენს სიღნაღის მაზრაშიაც, როგორც ყოველგან, სოფლის სკოლები უფრო ხშირად ფიცრისანი არიან და საშინლად მოუთავსებელნი: მდაბალი, ბნელი და ზამთარში ისეთი ცივი, რომ სწავლა კი არა—ორი საათით მათში დგომაც შეუძლებელია. სიღნაღის მაზრის უფროსის მეცადინეობით შარშან ზაფხულში ბ. მინისტრის ახალი გეგმით აშენდა ორი სკოლა: ერთი სოფ. ბოდბის-ხევში, და მეორეც ქვემო-მაჩხაანში. მომავალ ზაფხულში სოფ. კარდანეხიც აპირებს ამ გვარის შენობის აგებას. მასალის მზადებას კიდეც შეუდგნენ. მაზრის უფროსმა შესწირა საზოგადოებას ამ საქმისთვის 170 მან. თ-მა ვაჩნაძეებმა და აფხაზებმა უფასოდ დაუთმეს საზოგადოებას ყოველ გვარი ხის მასალა საკუთარის გალმა ტყიდამ.

*

შარშან ბ. გუბერნატორმა, კახეთში ყოფნის დროს, გლეხ-კაცობას გამოუცხადა „ნადელის" შესყიდვა. მებატონეები და ნაყმევნიც გულს-მოდგინედ ეკიდებიან ამ საქმეს.

ეს ერთი კვირაა, რაც ბ. მომრიგებელი შუამავალი სიღნაღის მაზრისა წინა-მხარეშია და ამ საქმეს შეძლების და გვარად ხელს უმართავს. დღიურზე ყველასთვის გადაჭრილი ფასი არ არის. ყველა მებატონე ურიგდება სურვილით თავის ნაყმევს და საქმე საზოგადოდ ჩქარა მიდის. კეთილი საქმეა და სასურველია—ჩქარა და კეთილად დაბოლოვდეს.

*

აქა-იქ ჩვენს მაზრაშიაც იჩინა საქონლის ჭირმა თავი. სენი ჯერ არ გაძლიერებულა და საჭიროა ეხლავ შეფერხება მისი, სანამ მთელს მაზრას არ მოსდებია.

ი. კახელი.

## სამართალი

**დოქტორთა ანანოვისა, კასპარიანცისა და მკრტიჩიანცის საქმე.**

კამერა თბილისის მეორე განყოფ. მომრიგებელ მოსამართლისა, იანვრის 19-ს და 20-ს *).

ექსპერტმა დოქტორმა ბაბანასოვმაც იგივე ჩვენება მისცა სასამართლოს, როგორც სხვა ექსპერტებმა. ვექილი კასპარიანცისა ბატ. ოპოჩინინი დაეკითხა დ. ბაბანასოვს:

— რა გავლენა აქვს მშობიარობის შემდეგს პერიოდს ჭლექზე? — ბაბანასოვმა უპასუხა:

— თუ ქალი მშობიარობამდის ავად არის ჯერედ თავ-უჩენელის ჭლექით, მშობიარობის შემდეგ ეს ჭლექი სისწრაფით ძლიერდება და მალე ჰკლავს ავადმყოფს. ამ ჩვენების შემდეგ ვექილის ოპოჩინინის და ჩემესოვის თხოვნით სიტყვა მიეცათ კასპარიანცსა და მკრტიჩიანცს.

კასპარიანცი არ სცნობს თავს ცილის-წამებაში დამნაშავედ და ამბობს, როცა სურგუნოვის ცოლის ნათესავებმა მიმიწვიეს ავადმყოფის საქმოდ და სნეულობის გარემოება გამოვკითხე მის შინაურებს, ის დასკვნა გამოვიყვანე, რომ სნეულს მშობიარობის შემდეგ წვეულის ართების გავლენით

*) იხილე „დროება" № 17.

სი". ასე სწერია თითოეული გლეხისაგან მიცემულ პირობის ქაღალდში, მაშინ როდესაც შენობაზედ სრულებით არ იყო ლაპარაკი დაგირავების დროს!!.

ამაზედ განსაცვიფრებელი კიდევ ის არის, რომ თავიანთგან მიცემულ ქაღალდში გლეხებმა ხუთ-ხუთი თუმნის მაგიერ, ოც-ოცი თუმანი ნახეს ჩაწერილი და შემოწმებული სოფლის „სუდია-მამასახლისებისაგან"!..

აი, კიდევ მეორე ფაქტი:

„ერთი სიღნაღელი ვაჭარი გ—ვი შეუჩნდა ერთს აქაურსავე მცხოვრებელს სახაზინო გლეხს, გიო ტიღაშვილს— „შენი სახლი დუქნად მაქირავეო". გლეხი დათანხმდა და აქირავა დუქნად თავისი საკუთარი სახლი, აშენებული სახაზინო—საზოგადო მიწაზედ. გ—მა ფეხი მოიდგა მაგრად და შემდეგ ქირაც აღარ მისცა გლეხს!"

გლეხს მიუმართავს მართლ-მსაჯულებისათვის. მომხდარა გამოძიება; გამოძიებას გამოუაშკარავებია გ—ს ვერაგობა, და, რაც უფრო უკეთესია, თვით გ. გამოტეხილა თავის დანაშაულში. განკარგულებაც მოხდენილა კიდეც, რომ მამასახლისს ძალით დაეცლევინებინა გ—თვის სახაზინო გლეხის სახლი, მაგრამ მკითხველი ნუ იფიქრებს, რომ ეს განკარგულება ასრულებულიყოს: რაღაც ჯადოსნურს ძალას და გრძნეულების ხერხს ხელი დაუცარავს მისს ასრულებისათვის, და დღესაც „გილდოსანი" გ—ვი პატრონობს გლეხის შენობას!

ამ გვარ ფაქტებს წამლობა ეჭირვება... და „წამლობას" ჩვენის აზრით წარმატებით გასწევენ შემდეგნი ღონის-ძიებანი, რომელთა მიღება და დაკანონება უმაღლესის მმართებლობისაგან შეადგენს ჩვენს უგულითადესს სურვილს: ა) დაწესდეს ჩვენშიაც გლეხთათვის სახელმწიფო ბანკი, რისთვისაც ჩვენი ქვეყნის მოთხოვნილების და გვარ უნდა შეიცვალოს ის წესდება, რომელიც შედგენილია რუსეთში ამ გვარივე „გლეხთა სახემწიფო ბანკებისთვის". ბ) მიეწეროს მაზრებში პოლიციის უფლების წარმომადგენელთ, რომ კანონის თანახმად დაუყოვნებლივ აღუდგინონ საკუთრების უფლება იმ გლეხთ, რომელთათვის ექსპლოატატორ-მოვახშეებს ვალსა და ვახშში წაურთმევიათ სახასო-საზოგადო მიწა *); გ) საჩქაროდ გაიგზავნონ ქართლსა და კახეთში, უპირატესად ამ მეორე მხარეში, ადგილობრივ ზნე-ჩვეულებათა და ენის მცოდნე გამომძიებელნი, და მიენდოთ მათ ვრცლად და ყოველ მხრივად გამოკვლევა ხსენებული ექსპლოატატორთ შუა არსებულის არა-ჩვეულებრივი, ანორმალური განწყობილებისა, და ამ გამონაკვლევის დაუყოვნებლივ ცნობება პროკურორისათვის, და დ) ვალდებული გახდეს ადგილობრივი პროკურატურა, რომ უთუოდ მხედველობაში მიიღოს ზემოხსენებულ გამომძიებელთა მოხსენებანი, და ექსპლოატატორ—მოვახშეები ყოველის აპერაციების დროს, თუ სამართლიანობასა და კანონს ოდნავაც არის დაარღვევენ პასუხის-გებაში მისცენ.

„სამსჯავრო მსწრაფლი და სამართლიანი"—ისეთივე მიუცილებლად საჭირო ელემენტია სახელმწიფოს პოლიტიკურის აგებულებისათვის, როგორც ჰაერი კერძო არსებისათვის...

ზ.

*) მაინც კანონით არაფრის გზით არ შეიძლება გაეყიდოს გლეხს კერძო პირისაგან აღებულს ვალში სახასო-საზოგადო მიწა, რადგანაც იგი ბოლოს-და-ბოლოს არის სახელმწიფოსი და არა გლეხის საკუთრება.

ავტ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეჰყრია მწვეტ-კოპისებრივი (остробугорчатый) პროცესი-მეთქი. ეს პროცესი მშობიარობამდის თავ-უჩენელი უნდა ყოფილიყო. ეს ადვილად შესაძლებელია; ამას ამტკიცებენ ცნობილი ავტორიტეტები მეცნიერებისა. მე დავინახე, რომ სურგუნოვისა ავად არის სისხლის ტუბერკულოზურის მოწამლულობისაგან და არა დამბალის მოწამლულობისაგან; ამ ჩემის სიტყვების სინამდვილეს ამტკიცებს ის გარემოება, რომ გამოკვლეული ანანოვისაგან ნარჩევი წამლები, რომელნიც, მოხსენებულ ავტორიტეტების სიტყვით, არ უნდა იხმაროს ექიმმა კოპების (бугорчатки) სწორედ იმ გვარ განვითარების დროს, როგორიც ჰქონდა სურგუნოვისას. ჩემგან მიცემულს მოწმობაში იმიტომ უფრო არ მოვიხსენიე ,,სისხლის მწვეტ-კოპისებური მოწამლულობა‘‘, რომ არ მინდოდა უწესო ექიმობაში გამემტყუნებინა ის დოქტორები, რომელნიც სწამლობდენ სურგუნოვისას.

დოქ. მკრტიჩიანცი, ამბობს, რომ მე გამოვიკვლიე სურგუნოვის ცოლის ავადმყოფობა და დავინახე, რომ იგი იტანჯება საშოს შინაგანი გარსის მარტივის ანთებით. ეს კიდეც ვუთხარი ქასპარიანცს.

ბოლოს ქასპარიანცმა და მკრტიჩიანცმა სთქვეს: ჩვენ არ შეგვეძლო გვეხელმძღვანელა ანანოვისა და ბორალევიჩისაგან ავადმყოფის სურგუნოვის გამოკვლევით, რადგანაც ანანოვმა უარი გვითხრა ცნობების მოცემაზე.

ანანოვმა სთქვა: ბრალდებულთაგან მეცნიერების ავტორიტეტებზე დამყარება საგანს არა ხსნის, რადგანაც რომელიმე საშუალების უეჭველს მარგებლობაზე, უვარგისობაზე — არ არის მტკიცედ დადგენილი აზრი. ,,რასაც დღეს აქებენ, იმასვე ხვალ აძაგებენ‘‘. ქასპარიანცს იმიტომ არ მივეცი ცნობა, რომ სურგუნოვის ცოლის მკერდის ავადმყოფობა მე იმდენად არ მიწამლებია, რომ შემძლებოდა მკერდის მდგომარეობაზე ცნობების მიცემა. მკერდის ავადმყოფობას ბორალევიჩი სწამლობდა.

ამის შემდეგ დაიწყო-მოწინააღმდეგე მხარეთა ბაასი.

ნაფიცი ვექილი შონი, (ანანოვის ვექილი) ჯერ არკვევს, თუ რას ჰგულისხმობს კანონი ცილის-წამებად და რა გარემოებანი არიან, რომ საჭირო-ფაქტი ცილის-წამებისა დადგენილ იქნას. შემდეგ ყურადღებას აქცევს იმ გარემოებას, რომ მიცვალებულ სურგუნოვის გვამის ექიმთაგან გაჭრამ და გამოკვლევამ ცხადად დაანახა ყველას, თუ რა სნეულებისაგან მიცვლილა ავადმყოფი. ის მოჰკლა ფილტვების ტუბერკულოზურ ანთებამ, და არა საშოს ანთებამ, როგორც ამბობდა თავის მოწმობაში ბ-ნი ქასპარიანცი. ასეთი შეცდომა ბ. ქასპარიანცს როგორც ჰკვიანს კაცს და მცოდნე ექიმს არ მოუვიდოდა; ეს სათქმელიც არ არის. აქ მხოლოდ ის შეიძლება ითქვას, რომ ბ-მა ქასპარიანცმა განზრახ დასწამა ცილი ბ. ანანოვს. როცა ჰკვიანი კაცი შეურაცხ-მყოფელს ხმას ავრცელებს მეორეზე, ეჭვი არავის არ უნდა ჰქონდეს, რომ ხმის გამავრცელებელი განზრახ მოქმედებს, რადგანაც შეუძლებელია, რომ მან არ იცოდეს შეურაცხ-მყოფელი ხასიათი თავის ამბისა. შემდეგ ბ. შონმა მიაქცია მსაჯულის ყურადღება იმ გარემოებაზე, რომ ექსპერტთაგან დადგენილი კითხვები ახსნილ იქმნენ გამამტყუნებელის სასარგებლოდ. მიუთითა აგრეთვე ,,ნოვოე ობოზრენიის‘‘ ორს ნომერზე, რომლებშიაც დაბეჭდილია დ. ქასპარიანცის და მკრტიჩიანცის წერილები. ამ წერილების შედარებაც, სთქვა მან, იმ დასკვნას გამოაყვანინებს კაცს, რომ ისინი დაწერილნი არიან აგრეთვე ცილის-წამების განზრახვით. ბოლოს ბ. შონმა მოიხსენია, რომ ანანოვისა და ქასპარიანცის და მკრტიჩიანცის წაკინწლავება განიხილა ამის წინად ,,კავკასიის საექიმო საზოგადოებამ‘‘, რომელმაც თავის აზრი წარმოსთქვა ანანოვის სასარგებლოდ და ბრალდებულთა წინააღმდეგ.

იმედი მაქვს, სამსჯავრო უყურადღებოდ არ დასტოვებს სპეციალურის ამხანაგობის სამსჯავროს განაჩენსაო, — სთქვა დასასრულ გამამტყუნებელის ვექილმა.

(დასასრული შემდეგს №-ში)

## სხვა-და სხვა ამბავი.

ერთს ახალ-გაზდა მსწავლულს უთქვამს, რომ მეცნიერება დაიწყო იმ დროიდამ, როცა კაცმა შეიგნო კეთილისა და ბოროტის ხის ცნობის ამბავი. ევას დაბადებით ადამის გვერდიდამ დაფუძნდა მედიცინა. ბოროტის სულის მოლაპარაკებით ევასთან კამლით შეცდენის გამო — დადგინდა მეცნიერება ფილოსოფიური; ადამისა და ევის განდევნით — მართლ-მსაჯულება და კაენისაგან აბელის მოკვლით — იურისპრუდენცია.

—

ნიუ-იორკში გამოუციათ ქურდებისათვის კალენდარი, სადაც დაწვრილებით არის თურმე ნაჩვენები ადრესი ყველა მდიდრისა, ბანკირებისა, ვაჭართა, მწარმოებელთა და იმ პირთა საზოგადოდ, რომელნიც თანამდებობით თავისთან ინახავენ დიდს ფულს.

—

ვიღაც იაპონელი ამზადებს თურმე ერთ რიგს ქაღალდისას, რომელიც ისეთივე გამჭვირვალეა როგორც მინა. მხოლოდ ამ ქაღალდს ის უპირატესობა აქვს მინაზე რომ მოიქნევა და რბილიც არის.

—

ჩინეთის ლიტერატურის ქვა-კუთხედს შეადგენს ,,წმინდა წიგნები ბუდისა‘‘. ეს უშველებელი გამოცემა შესდგება 8,000 ტომისაგან. ამ წიგნებს ბეჭდავს ჩინეთის მსწავლული ვენ-კვაი. გარდა ამისა შანხაიში იბეჭდება თურმე სურათებიანი ენციკლოპედია სათაურით: ,,უხსოვარის დროიდგან დღევანდლამდე‘‘. ეს გამოცემა შეიცავს 1,000 კარგა ვრცელს წიგნს და ეგზემპლიარი 3,100 ფრანკი ღირება. ამ გამოცემის რედაქციას შეადგენს 150 წევრი, რომელნიც დილით საღამომდის განუწყვეტლივ მუშაობენ.

—

მეცნიერება შესანიშნავად იწევს წინ. გამოგონება-გამოგონებაზე, გამოკვლევა-გამოკვლევაზე იჩენს თავს. ახალი ქვეყნის მცხოვრებნი მოუთმენლად მოელიან, რას მოუტანს მათ ის აპარატი, რომელიც ვიღაცამ გამოუგონია ხელოვნურის წვიმის მოსავლენად. ამ ქვეყანაში თურმე სოცარი უწვიმობაა და ამის გამო არავითარი მცენარეობა არ ჰხარობს, რასაკვირველია. წვიმის მომყვანი აპარატი შესდგება ჰაეროსტატისაგან, სადაც მოწყობილია თურმე ბლომად დინამიტი. როდესაც ჰაეროსტატს აუშვებენ, ელექტრონის საშუალებით დინამიტს გაუჩენენ ცეცხლს. დინამიტი გასკდება და შეარყევს ჰაერს იმდენად, რომ ღრუბლებს გამოიწვევს და ღრუბელნი წვიმას მოუვლენენ დედამიწასაო.

## ტელეგრამები

(,,ჩრდილოეთის სააგენტოსი‘‘)

იანვრის 22-ს

პეტერბურგი. გამოცხადებულია უმაღლესად დამტკიცებული დებულებანი იმ გლეხთა ნადელების სავალდებულო გამოსყიდვაზე, რომელნიც ჩაწერილნი არიან სახელმწიფო გლეხთა წოდებაში და დასახლებულ იქმნენ საკუთარს მიწებზე. უმაღლესად დამტკიცდა აგრეთვე, რომ გამოსყიდულ იქმნან ის ნადელებიც, რომელნიც დაწესებულს უმეტესს სივრცეს აღემატებიან.

გამოცხადებული საბაჟო ტარიფის ცვლილებანი დღეს საბოლოოდ შემოღებულ იქმნენ.

პარიჟი. ფრანცუზებმა აიღეს კელუნგთან იანვრის 25-ს რამდენიმე სიმაგრე. გამარჯვებულთ მოუკლეს ცხრა კაცი და დაუჭრეს ორმოცდა ცამეტი.

ლონდონი. პოლიციას აცნობეს, რომ არსებობს შეთქმულობა უესტმინსტერის სააბატოს ასაფეთქად.

ქაირი. ნილოსის დაყოლება მიმავალმა კალონამ (მწყობრი) ღენერალის ერლისამ დაიჭირა ბერტი, რომელიც ულმრად დასცალა მტერმა.

ნიუ-იორკი. ახალგაზდა ქალმა, ინგლისის აფიცრის ქვრივმა, რევოლვერი ესროლა ოდონოვანროსას, რომელსაც ინგლისის მედინამიტეების უფროსად იცნობენ ბოროტ-მომქმედი დაიჭირეს. ოდონოვანის ჭრილობა საშიში არ არის.

გუშინ აქ იყო ანარხისტებისა და სოციალისტების კრება, რომელიც იმით გათავდა, რომ ყველანი წაიკიდნენ და ურთიერთ შორის მუშტი-კრივი გამართეს. კრების გამმართველნი დაატუსაღეს.

იანვრის 23 ს.

პეტერბურგი. ,,ახალი დროება‘‘ გვატყობინებს, რომ გრაფი პალენის კომისიამ თავი მოუყარა ადგილობრივი კომისიების ცნობებს შესახებ ებრაელთა საქმისა საკუთრივ იმაზედ, თუ რამ სივრცე უნდა იყოს ის ადგილი, სადაც ებრაელთ შეეძლებათ მუდმივი ცხოვრება. ზოგიერთი კომისიები, როგორც ვოლინისა და კიევისა, წინააღმდეგნი იყვნენ ამ ადგილის გაფართოებისა, სხვანი კი, როგორც ხარკოვისა, თანახმანი იყვნენ. ყველა კომისიებმა კი ერთხმად წარმოსთქვეს აზრი, რომ უნდა მოისპოს სპეციალური გადასახადებიო, ებრაელთა სასწავლებლები გაუქმდეს, შეიცვალოს მეტრიკული წიგნების წაყვანის წესი და აგრეთვე გაუქმდეს თანამდებობა სპეციალურ ხარჯის მომკრეფთა; კომისიებს სურთ აგრეთვე, რომ განისაზღვროს ებრაელთ დეპუტატების რიცხვი მოქალაქეთა გამგეობაში.

იერუსალიმი. გეფსიმანიის ახლო ჩაიყარა საძირკველი ტაძრისა განსვენებულის იმპერატრიცის მარიამ ალექსანდრეს ასულის სახსოვრად. ტაძარი აგებულია იმპერატორის გვარეულობის ხარჯით, პირველი ქვა დასდო იერუსალიმის პატრიარქმა ნიკოდიმემ. ცერემონიაზედ დაესწრო ათასამდე რუსის მოგზაური, ყველა აქაური მცხოვრებლები და აგრეთვე პორტის წარმომადგენელი რამეჯ-ფაშა.

,,დროების‘‘ ფოსტა.

ბ. ი—ანს. თქვენი წერილი სვანეთის შესახებ არ დაიბეჭდება.

## ცნობანი

სამკურნალოში, რომელიც თბილისის მოქალაქეთ დაარსეს სახსოვრად 4 აპრილისა 1866 წლისა, ავად-მყოფნი მიიღებიან დილის 8 საათიდამ 12 საათამდინ.

ყოველ დღე მიიღებენ ამ სამკურნალოში ავად-მყოფებს შემდეგი ექიმები: ტერ-გრიგორიანცი — 8 საათიდამ 9 ასსათამდინ. სხვები, საქალებო და საბავშვო ავადმყოფობის საწამვლელად; ადამიანცი — 9-დამ 10-საათამდე შინაგან და ნერვულ ავადმყოფობათა საწამვლელად; ბენკლევსკი — 10 — 11 საათამდე. — სახირურგო, სსიფილისო ავადმყოფობის წამლობისათვის და აგრეთვე კბილისა

და ყურის ტკივილის სამკურნალოდ; შტემბორსკი 11—12 საათამდე სიფილისისა და სხეულზე გამოყრილი მუწუკების წამლობისათვის. ამას გარდა გარალევიჩი ორშაბათობით 9—10 საათამდე შინაგან ავადმყოფობას წამლობისათვის; კორონა ორშაბათობით, სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით შინაგან ავადმყოფობათა წამლობისათვის 10—11 საათამდე; მინკევიჩი სამშაბათობით და პარასკევობით 9—10 საათამდე ხირურგიული ავადმყოფობისათვის; ხამჩინსკი სამშაბათობით და შაბათობით 11—12 საათამდე თვალის ტკივილის სამკურნალოდ; კრასნოგლიადოვი ორშაბათობით და პარასკევობით 10—11 საათამდე შინაგან ავადმყოფობათა წამლობისათვის; ვოლფსონი კბილის ტკივილის სამკურნალოდ მიიღებს თავის სახლში ყოველთვის ღარიბ ავადმყოფებს, რომელთაც სამკურნალოდამ ზარათი ექმნებათ.

**საავადმყოფოს დირექტორი ბ-ნი ევრმიშევი** ამით აცხადებს, რომ ქ. ტფილისის მოქალაქეთა მიერ გარეშე მოსიარულე ავადმყოფთათვის დაარსებულს საავადმყოფოში 1866 წლის აპრილის 4-ის მოსაგონებლად შემოღებული არის მცხოვრებთა შეღავათისათვის ღამღამობით მორიგად ყოფნა ბბ. ექიმთა და ბებიათა.

**ექიმები:**

**არუთინიანი**, ორშაბათობით, ხუთშაბათობით და კვირაობით.

**კორონა**, სამშაბათობით და შაბათობით.

**მელიქ-ფარსადანოვი**, ოთხშაბათობით და პარასკევობით.

**ბებიები:**

**ფილჩაკოვისა**, სამშაბათობით.

**ბაგინოვისა**, ორშაბათობით, და პარასკევობით.

**სტეფანოვისა**, ოთხშაბათობით და შაბათობით.

**ლოქშისა**. ხუთშაბათობით და კვირაობით.

## მაზანდა

ხორაგისა, რომელიც იყიდება ტფილისის ბაზრებში, დუქნებში და ხელდა-ხელ 1 იანვრიდამ 1 თებერვლამდე 1885 წ.

| | | | |
|---|---|---|---|
| გამომცხვარი პური რუსთის ფქვილისა— | —1 | გირ. | 5 კ. |
| აქაურის ფქვილისა: პირველის ხარისხისა— | —1 | გ. | $2\frac{1}{2}$ |
| მეორისა— — | —1 | გ. | 2 კ. |
| **იმავე ფქვილ. თონეში გამომცხვარი:** | | | |
| პირველი ხარისხის | —1 | გ. | $4\frac{1}{2}$ |
| მეორისა— — | —1 | გ. | 3 კ. |
| მესამისა— — | —1 | გ. | $2\frac{1}{2}$ |
| **ჭვავის-მამი პური:** | | | |
| პირველი ხარის. ლავაში | 1 | გ. | $4\frac{1}{2}$ |
| მეორის ხარის. ლავაში | 1 | გ. | $3\frac{1}{2}$ |
| მესამისა — — | —1 | გ. | 3 კ. |
| **ძროხის ხორცი:** | | | |
| პირველის ხარისხისა | —1 | გ. | 8 კ. |
| მეორისა— — | —1 | გ. | 7 კ. |
| სუკი . . . | —1 | გ. | 15 კ. |
| ცხვრის ხორცი | —1 | გ. | 8 კ. |
| **ღორის ხორცი:** | | | |
| პირველის ხარისხისა | —1 | გ. | 8 კ. |
| მეორისა— — | —1 | გ. | 7 კ. |

## რკინის გზა

თბილისიდამ ბათუმისკენ მიდის
8 საათზედ და 31 წამ. დილით.
თბილისიდამ მარტო ხაშურამდინ
6 საათ. და 11 წამ. შუადღის უკან.
თბილისიდამ ბაქოსკენ
10 საათზედ და 45 წამ. დილით.
(სამშაბათობით და შაბათობით საჩქარო 10 ს. 58 წ. ღამ.)
ქუთაისიდგან თბილისისკენ
12 საათზ. და 25 წამ. შუადღ. უკან.
ქუთაისიდგან ბათუმისა და ფოთისკენ
5 საათზედ და 20 წამ. შუადღის უკან.
ბათუმიდგან თბილისისკენ
8 საათ. დილით.
ფოთიდგან თბილისისკენ
8 საათ. და 45 წამ. დილით.
ფოთიდამ და ბათუმიდამ მომავალი თბილისში შემოდის
10 საათზედ და 25 წამ. ღამით.
მარტო ხაშურიდამ მომავალი თბილისში შემოდის
8 საათზედ დილით
ბაქოდამ მომავალი შემოდის თბილისში
2 საათ. და 30 წამ. შუადღის უკან.
(სამშაბათობით და პარასკევობით საჩქარო 7 ს. 53 წ. დილ.)

## განცხადებანი


იყიდება იაფად
**როიალი**
ველების (კონიუშენნაია) ქუჩაზედ, არღუთინსკის სახლებში, ციციკოვის სადგურში. (5—4

ტფილისის მაზრის კეთილ-შობილთ წინამძღოლი უმორჩილესად სთხოვს ტფილისის მაზრისავე თავად-აზნაურობას მიბრძანდენ მასთან სახლში მომავალს თებერვლის პირველს, დილის თერთმეტს საათზედ, როგორც მაზრის თავად-აზნაურთა კრების გასახსნელად, ისე გუბერნიის თავად-აზნაურთა მომავალის კრების საქმეების შესამზადებლად; აგრეთვე მისთვისაც, რომ, 1876 წელს გამოცემულ კანონის მეცხრე ტომის 104 მუხლის თანხმად, მასვე, წინამძღოლს ზემოხსენებულ დრომდინ წარმოუდგინონ საბუთნი თავიანთ მამულების შესახებ კენჭის ყრაში მონაწილეობის მიღებისათვის.
ტფილისის მაზრის კეთილ-შობილთ წინამძღოლი.
(3—2) ლ. მაღალოვი.

Librairie Chaverdoff, Tiflis
SOUS PRESSE
LA PEAU DE LÉOPARD
D'après
Chota Rousthavéli
par
Achas Borin. (3—3)

## სტამბა
ა. ი. კალანდაძისა და ამხ.
თბილისში, ლორის მელიქოვის ქუჩაზე, მესხიევის შენობაში,
(ცურინოვის აფთიაქის პირდაპირ)

იღებს ყოველგვარ სასტამბო საქმეებს საბეჭდავათ: გაზეთებს, ჟურნალებს, წიგნებს, ბროშურებს, აგრეთვე ყოველგვარ ბლანკებს, კვიტანციებს, სიროტებს, აფიშებს, პირობებს და სხვ.

სისუფთავეზე და აღნიშნულ დროზე საქმის შესრულებაზე სტამბა პირობას აძლევს საქმის მომტანთ.

სტამბა კისრულობს კორექტურის გასწორებას და ბროშურების გაკეთებას, უკეთუ საქმის მომცემნი ისურვებენ.

ახლად გახსნილი საწყობი
პურის სპირტის
და
დაწმენდილი არაყისა

კანტორა ვლადიკავკაზის სვიატო-ტროიცკის არაყის ქარხნისა მიამოკავლობითი პატიო მოქალაქეთა ივანე ადამის ძის **პორაქოვისა** და დავით ადამის ძის **სარაჯოვისა** ამით აცხადებს, რომ ოქტომბრის 1-დამ გაიხსნა სანარდო საწყობი პურის სპირტისა და დაწმენდილი არაყისა ქ. თბილისში, თამამშოვის ქარვასლაში, ერევნის მოედანზედ, აღელოვის კანტორის გვერდით.

საწყობში არის მრავალ-გვარი პურის სპირტი: კოფეინისა, ლავისა, დიკიოფისა და აბსოლიუტური ალკოჰოლი; აგრეთვე არაყები: დაწმენდილი, სასუფრო, დისტილატი და სამეფო არაყი საუკეთესო თვისებისა. სპირტი და დაწმენდილი არაყი ამ საწყობისა იყიდება თვით **დეპოში, დ. სარაჯოვის დიდს ახალს სახლებში** და ყოველ თბილისელ ცნობილ ვაჭრებთან. ჭურჭელი: ერთ-ვედროიანის, $\frac{1}{2}$ ვედროიანი, $\frac{1}{10}$, $\frac{1}{16}$, $\frac{1}{20}$, და $\frac{1}{40}$ ვედროიანი, ეტიკეტით და საწყობის ბეჭდით. «მარკა»: „Владикавказскій Свято-Троицкій вино-куренный заводъ изъ Тифлисскаго оптоваго склада". ამავე ადგილებში გაიყიდება სპირტი და არაყები წვრილ-წვრილად 3 ვედრომდე 1, $\frac{1}{2}$, და $\frac{1}{4}$-ვედროიანი ჭურჭლით საწყობის ფასზედ.

ფასები საზოგადოდ ზომიერია; შემოკვეთილს სპირტს და არაყებს საწყობი თითონ ჩააბარებს შემომკვეთელს მოცემული ადრესით.

ქალაქს-გარეშელთ უნდა თავიანთი მოთხოვნილება შემდეგის ადრესით გამოგზავნონ:

Въ Тифлисъ, въ оптовой складъ хлѣбнаго спирта Ив. Ад. Поракова и Дав. Зах. Сараджева, на Эриванской площади, №1. (15—13)

**ჟურნალი „ნობათი"-ს გამოცემა 1885 წელში.**
(წელიწადი მეორე)
საყოველთაოდ ყრმათა საკითხავი სურათებიანი ჟურნალი
„ნობათი"

პედაგოგიურის ნაწილის დამატებით—მშობელთა და აღმზრდელთათვის—მომავალს 1885 წელში გამოვა იმავე პროგრამით, მიმართულებითა და სივრცით, როგორათაც 1884 წ.

**ჟურნალზე ხელის-მოწერა.** წლიური ფასი ჟურნალი «ნობათი»-სა—ქალაქში დარიგებით და გარეშე გაგზავნით, დარჩა იგივე, ე. ი. ოთხი მან. მარტო ნახევარი წლის ხელის-მოწერა არ მიიღება. ცალკე ნომერი ღირს ათი შაური.

სოფლის მასწავლებელთ შეუძლიათ გამოგზავნონ: თავ-და-პირველად ორი მან. და დანარჩენი ორი მანათიც—მაისში. რომელთაც ამ რიგად ხელის-მოწერა ჰსურთ, პირ-და-პირ რედაქციას უნდა მიმართონ.

**ხელის-მოწერა** მიიღება: თბილისში—ჟურნალი «ნობათი»-ს რედაქციაში, ალექსანდროვის ბაღთან, ხაზინის გვერდით, თუმანიშვილების სახლში № 7 და შავერდოვის წიგნის სააგენტოში. ქუთაისში—ძმ. ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში. გორში—მკ. ზურცელაძესთან და თელავში—ივ. როსტომაშვილთან.

პოსტის ადრესი: *Тифлисъ, въ редакцію грузинскаго педагогическаго журнала „Нобати".*
(5—5) რედაქტორი გამომცემელი ა. ს. ღულაძე.